# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-245

13/03/2020

ქ. თბილისი

**საგარეჯოს და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის საგარეჯო-ბაკურციხის მონაკვეთის მეორე ლოტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის პირველი დანართის მე-11 და მე-13 პუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს, საგარეჯოს და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის საგარეჯო-ბაკურციხის მონაკვეთის მეორე ლოტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N22 (09.03.2020);
2. „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N22 (09.03.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგარეჯოს და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის, საგარეჯო-ბაკურციხის გზის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-712 ბრძანება და სკოპინგის დასკვნა N28 (31.07.2018);
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი